საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ელიოზიშვილი კონსტანტინე მალხაზის ძე

კ. ელიოზიშვილი

ელიოზიშვილი კონსტანტინე მალხაზის ძე (14. XII. 1874, სოფ. ქვემო ნიქოზი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი, – 20. X. 1954, გორი), ექიმი. საქართველოს დამს. ექიმი (1945). 1899 დაამთავრა მოსკოვის უნ-ტის სამკურნალო ფაკ-ტი. 1900-იდან მუშაობდა თბილ. და საქართველოს სხვადასხვა რ-ნის სამკურნ. დაწესებულებებში. 1924-იდან გარდაცვალებამდე იყო გორის რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმი და თერაპიული განყ-ბის გამგე. შეიმუშავა ახალშობილის ასფიქსიის დროს ხელოვნური სუნთქვის ახ. წესი (1938), აღწერა ახ. ავადმყოფობა გაზაფხულის მწვავე შეშუპება (1949), შეადგინა სახელმძღვანელოები: „ადამიანის ნორმალური ანატომია" (1932), „პირველი დახმარება უბედური შემთხვევისა და უცები ავადმყოფობის დროს" (1934). მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები. მისი სახელი ეწოდა გორის ერთ-ერთ ქუჩას.

ლიტ.: ს რ ე ს ე ლ ი ი., კოტე ელიოზიშვილი, თბ., 1976.